

2018 წლის ინდივიდუალური
ფინანსური აგარიშგება
შპს „კარგო ტრანსიტ“

2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშზე


	12/31/2018	31/12/2017	31/12/2016
აქტივები	ლარი		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	56 361	56 262	54 633
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 552 270	4 869 394	52 886
მარაგები			
მოკლევადიანი აქტივები	1 608 631	4 925 656	107 519
არამატერიალური აქტივები	-		
ძირითადი საშუალებები	2 067	1 161	1 103
გრძელვადიანი აქტივები	2 067	1 161	1 103
სულ აქტივები	1 610 968	4 926 817	108 622

ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 133 213	4 582 066	97 010
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	578
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	
მოკლევადიანი ვალდებულებები	1 133 213	4 582 066	97 588
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	
სულ ვალდებულებები	1 133 213	4 582 066	97 588

საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	475 755	344 751	11 034
სულ საკუთარი კაპიტალი	475 755	344 751	11 034
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 610 968	4 926 817	108 622

ხელმოწერა (დირექტორი)

ეთერი ჯაფარიშვილი (ბუღალტერი)



2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის
საქმიანობის შედეგები

	12/31/2018	12/31/2017
ამონაგები	18 771 555	21 326 387
თვითღირებულება	(17 980 635)	(20 726 315)
საერთო მოგება	790 920	600 072

სხვა შემოსავალი	6 331	3 518
დასაქმებულთა ანაზღაურება	(79 706)	(71 515)
ცვეთა და ამორტიზაცია	(414)	(1 424)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(241 633)	(309 926)
იჯარის ხარჯი	(7 119)	(7 119)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(4 186)	(4 282)
სულ საოპერაციო ხარჯები	333 058	(394 266)


საოპერაციო მოგება	464 193	209 954
-------------------	---------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
მარაგების გაუფასურება	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(333 189)	124 393
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	131 004	333 717
მოგების გადასახადი	-	-
მოგება/(ზარალი)	131 004	333 717

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	344 751	11 034
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	131 004	333 717
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	475 755	344 751

ხვიჩა ცეკვავა (დირექტორი)

ეთერი ჯაფარაშვილი (ბუღალტერი)



2018 წ. ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობა		2018	2017
წმინდა ფულადი სახრები საიპერაციო საქმიანობიდან		-3,050,169	3,930,778
წმინდა ფულადი სახრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახრები საფინანსო საქმიანობიდან		3,235,830	-3,787,534
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		185,661	143,244
სავალუტო კურსის ეფექტი		-185,292	-141,615
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		56,262	54,633
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		56,631	56,262

ხეობა ცეკვავა (დირექტორი)

ეთერი ჯაფარაშვილი (ბუღალტერი)



კომპანიის დასახელება: შპს "კარგო ტრანსიტ"

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 404985281

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

დირექტორი: ხვიჩა ცეკვავა

დამფუძნებელი: 100% - ხვიჩა ცეკვავა (საქართველოს მოქალაქე).

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

შპს „არგო ტრანსიტ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2103 წელს საქართველოში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გადაზიდვის მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი, III კვარტალი, კორპ. # 27, ბინა 7;

კომპანიის ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, აღმაშენებლის 182;

შენიშვნა 2: ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, პირველად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად. კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად, საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით. აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის;

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარიკაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 2%

ტექნიკა და ელ.მოწყობილობები 20%

ავეჯი და მოწყობილობა 20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება "პირველი შემოსავალში პირველი გასავალში" (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება დაშეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას.

თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად,

რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭროვ აღდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინაპერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო უთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი მოვლენები.

მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში აისახება როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	906	330	452
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	55 725	55 932	54 181
სულ	56 631	56 262	54 633

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	-	-	-
გადახდილი ავანსები	1 541 217	4 857 628	52 886
წინასწარ გადახდილი გადასახადი	11 053	11 766	-
სულ	1 552 270	4 869 394	52 886

შენიშვნა 3

მარაგები

	12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
ნედლეული და მასალები	-	-	-
სულ	-	-	-

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
სავაჭრო ვალდებულებები	1 133 213	4 582 066	97 010
ვალდებულება საწამოს პერსონალის წინაშე	2 000	-	-
სულ	1 133 213	4 582 066	97 010

შენიშვნა 5

საგადასახადო ვალდებულებები

	12/31/2018	12/31/2017	12/31/2016
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება	-	-	-
წინასწარ გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	-	-	-
სამემოსავლო გადასახადები	-	-	-
დღგ	11 053	11 766	578
ქონების გადასახადი	-	-	-
სულ	11 053	11 766	11 766

შენიშვნა 6
ამონაგები

	12/31/2018	12/31/2017
საქონლის გაყიდვა	18 771 555	21 326 387
სულ	18 771 555	21 326 387

შენიშვნა 7
სხვა შემოსავალი

	12/31/2018	12/31/2017
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(333 189)	124 393
არასაოპერაციო მოგება	-	-
სულ	(333 189)	124 393

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებული იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 1 სექტემბერს.